უფასოდ

სსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

# კრებული

№ 5 | წლიწადი მეხუთე | 1941 წ.

## შინაარსი

1. ბრძანება № 1150—სკოლებში სასწავლო რეჟიმისა და ერთმმართველობის დარღვევის ფაქტების აღმოფხვრის შესახებ . . 2
2. ბრძანება № 1151—ჩხარის რაიაღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ . . . . . . . . . 3
3. ბრძანება № 1154—თელავის რაიონის სახ. განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . 6
4. ბრძანება № 1226—ყვარელის რაიგანათლების განყოფილების მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 8
5. Приказ № 1225—О состоянии изучения русского языка в школах города Кутаиси и в Кутаисском районе . . . . . . . . . . . . . 11
6. ცირკულარულად—განათლების განყ. გამგეებს . . . . . . . . . . . . . . . 12
7. ინსტრუქცია—საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 12
8. ბრძანება № 653—ბაშკიჩეთის, საგარეჯოს და კასპის სარაიონო და წითელქალაქის სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ . . . . . . . . . 14
9. ბრძანება № 21—საქალაქო და სარაიონო ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ . 15
10. დებულება ქ. თბილისის მუზეუმისა . . . 17

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

განსახკომი
თბილისი—1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 1150

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1941 წ. 5 აპრილი**

## სკოლებში სასწავლო რეჟიმისა და ერთმმართველობის დარღვევის ფაქტების აღმოფხვრის შესახებ.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგიერთი განათლების განყოფილების გამგე, და სკოლის დირექტორი სათანადო ზომებს არ ღებულობს სკოლებში სასწავლო რეჟიმის განმტკიცებისა და ერთმმართველობის დამკვიდრებისათვის,—არ იცავს სკოლისა და კლასგარეშე მუშაობაში ბავშვთა მონაწილეობის ნორმებს, გარეშე პირთა მიღებისა და საწრეო მუშაობის შესახებ არსებულ წესებს, რომლებიც მოცემულია განსახკომის ცირკულარებსა და ინსტრუქციებში (იხ. „ტიპიური შინაგანაწესი“, §—46, 1939 წ. 8 მაისი, 1940 წ. 8 ოქტომბრის ბრძანება — „სოფლის სკოლის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ 1941 წ. 1—მარტის ცირკულიარი—„სკოლაში საწრეო მუშაობის შესახებ“), რის შედეგად ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეები გადატვირთული არიან სხვადასხვა სახის სკოლისგარეშე სამუშაოებით და აღარ რჩებათ დრო გაკვეთილის მომზადებისა და დასვენებისათვის; გარდა ამისა, ზოგჯერ ადგილი აქვს განათლების ორგანოების ნებართვის გარეშე სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩარევას სკოლის საქმიანობაში, — მათ მიერ სკოლის დირექტორის, სასწავლო ნაწილის გამგის, მასწავლებლისა და მოსწავლეების მოცდენას სამუშაოდან ან გაკვეთილიდან, რითაც აშკარად ირღვევა სკოლაში სასწავლო დისციპლინა, ერთმმართველობა. შრომის კანონი. აღნიშნული მდგომარეობათა გამო **ვბრძანებ:**

1. სკოლის შესახებ საკ. კ. პ .(ბ) ც. კ.-ისა და სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილებათა საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას სკოლებში სასწავლო წესრიგის შემდგომი განმტკიცება; არ იქნას დაშვებული გაკვეთილის მსვლელობის დარღვევის არც ერთი შემთხვევა; კატეგორიულად აიკრძალოს სკოლის დირექტორის ,სასწავლო ნაწილის გამგის და მასწავლებლის სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობიდან მოწყვეტა .ამ წესის შეუსრულებლობა შეფასებულ იქნას, როგორც შრომის დისციპლინის დარღვევა და დამნაშავეთა წინააღმდეგ მიღებულ იქნას შრომის კანონით გათვალისწინებული ზომები.

2. კატეგორიულად აიკრძალოს მოსწავლეთა მოცდენა მეცადინეობიდან და ყოველგვარი გარეშე სამუშაოების ჩატარება სკოლაში გაკვეთილების დამთავრებამდე.

3. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის გეგმა დგებოდეს იმგვარად, რომ მოსწავლეს რჩებოდეს დრო საშინაო დავალებათა შესრულებისა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობისა და ნორმალური დასვენებისათვის.

4. აღიკვეთოს კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებათა უგეგმოდ და მოუმზადებლად გატარება, რადგან მას დეზორგანიზაცია შეაქვს სკოლის მუშაობაში ,იწვევს სასკოლო რეჟიმის დარღვევას, მოსწავლეთა გადაღლას და სასკოლო დისციპლინის დაქვეითებას.

ლაშქრობები, ოლიმპიადები და სპორტიული შეჯიბრებები ტარდებოდეს სასწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, სკოლის მიერ წინასწარ შედგენილი და რაიონის განათლების განყოფილების მიერ დამტკიცებული გეგმის საფუძველზე.

5. აეკრძალოს სკოლის დირექტორებს სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე ისეთი ცნობების, ანგარიშებისა და დოკუმენტების შედგენა—გაცემა, რომელსაც არ ითვალისწინებს განსახკომის დირექტივები.

6. დაევალოს სკოლის დირექტორებს დაუყოვნებლივ აცნობონ განათლების განყოფილების გამგეს ყველა ისეთი შემთხვევის შესახებ, როდესაც სხვადასხვა პირები უკანონოდ და ნებადაურთველად ერევიან სკოლის საქმიანობაში, არღვევენ სასწავლო რეჟიმს და წესრიგს სკოლაში.

7. სკოლის დირექტორებმა ზუსტად დააწესონ მთხოვნელთა მიღების საათები და მტკიცედ განახორციელონ ის მუშაობის პროცესში.

8. ავტონომიური რესპუბლიკების სახკომებმა, ოლქის ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა სისტემატურად შეამოწმონ ამ ბრძანების შესრულება ადგილებზე: ყოველმხრივ შეუწყონ ხელი დირექტორის, სკოლის სრულუფლებიანი ხელმძღვანელის, ავტორიტეტისა და როლის ამაღლებას და გადამწყვეტი ზომები მიიღონ სკოლაში ერთმმართველობის და სასწავლო რეჟიმის დარღვევის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ.

**საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი**

**გ. კიკნაძე.**

---

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1151

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1941 წ. 5 აპრილი**

### ჩხარის რაიაღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ.

აღვნიშნავ, რომ „ჩხარის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ"—განათლების სახალხო კომისარიატის 1939 წლის 21 აპრილის ბრძანების საფუძველზე, ჩხარის რაიონში გარკვეული მიღწევებია მოპოვებული საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებისა, რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი და პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მასიური მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ ადგილი აქვს განსახკომის ზოგიერთ მნიშვნელოვან მითითებათა შეუსრულებლობის ფაქტებს:

განათლების განყოფილების სამუშაო გეგმა შედგენილია არაკალენდარული, არამედ სასწავლო წლის მეოთხედების მიხედვით; გეგმაში სრულიად არ არის წარმოდგენილი საფინანსო სამეურნეო და საორგანიზაციო საკითხები.

განათლების განყოფილებას დღემდე არ ჩაუტარებია წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა 1941 წლის ბიუჯეტის გასაწერად.

მოუწესრიგებელია სკოლების პასპორტიზაციის საქმე. განათლების განყოფილებაში შენახულ სასკოლო პასპორტებში 1939/40 სასწავლო წლის მაჩვენებლები სრულიად არ არის, ხოლო წინა წლების მაჩვენებლები კი შეცდომით არის შეტანილი.

ცუდად არის დაყენებული მასწავლებელთა ხელფასის ტარიფიკაცია და სტატისტიკური აღრიცხვა.

სრულიად მოუწესრიგებელია მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა პირადი საქმეები და შრომის წიგნაკები.

განათლების განყოფილების მხრით სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად, ქვედა აღისუბ-

ნის საშუალო სკოლაში ჩაშლილია სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა; ასევე, სუსტადაა დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ძევრისა და ზედა ალისუბნის არასრულ საშუალო სკოლებში. ქვედა ალისუბნის საშუალო სკოლაში კაბინეტ-ლაბორატორიების, თვალსაჩინო ხელსაწყოების მოვლა-პატრონობისა და აგრეთვე სისუფთავის დაცვის საქმეს არ ექცევა სათანადო ყურადღება.

განათლების განყოფილების მიერ არ ეწევა საჭირო დახმარება ჩხარის საბავშვო ბაღს.

მიუხედავად განათლების განყოფილების მიერ გადადგმული ნაბიჯებისა, რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობისათვის დღემდე არ არის შექმნილი პირობები (ჩხარის სარაიონო კულტსახლი, ღვანკითის სასოფლო კლუბი).

აღნიშნულისა გამო **ვბრძანებ:**

1. განათლების განყოფილების სამუშაო გეგმა შედგეს კალენდარული, წლისა და კვარტალების მიხედვით:

ა) გეგმაში სრულად იქნას წარმოდგენილი, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი, ისე საორგანიზაციო, სამეურნეო და საფინანსო საკითხები;

ბ) სასკოლო ინსპექტორების სამუშაო გეგმები დგებოდეს წლიურ სამუშაო გეგმის საფუძველზე კონკრეტული საკითხებისა და შესრულების ვადის გათვალისწინებით;

გ) სისტემატურად ხდებოდეს განყოფილების მუშაკთა სამუშაო გეგმების შესრულების შემოწმება.

2. ამთავითვე იქნეს ჩატარებული 1941 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გასაწერად საჭირო მოსამზადებელი მუშაობა:

ა) დროულად შედგეს ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვები განათლების განყოფილების ყველა ქვემდებარე დაწესებულებაზე;

ბ) რაიონში ჩამოყალიბდეს პასპორტიზაციის სარაიონო შტაბი. ა/წ 20/4-მდე იქნას უზრუნველყოფილი პასპორტის შედგენა პასპორტიზაციის გარეშე დარჩენილ სკოლებზე. ამავე ვადაში განსახკომში გადაგზავნილი იქნას პასპორტის შევსებული ფორმები; შევსებული და შესწორებული იქნას განათლების განყოფილებაში შენახული სასკოლო პასპორტის ეკზემპლიარებში [illegible] 1938/39 და 1939/40 წლების მ[illegible];

გ) არსებული დირექტივის საფუძველზე ა/წ 20/4-მდე რაიონში ჩამოყალიბებულ სატარიფიკაციო კომისიის მიერ ჩატარდეს მასწავლებელთა ტარიფიკაცია;

დ) უზრუნველყოფილ იქნას სტატისტიკური აღრიცხვის მოწესრიგება და სტატისტიკური მასალების განსახკომში დროულად წარმოდგენა.

დაევალოს ჩხარის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს:

1. საქართველოს სსრ განსახკომის 1940 წლის 9 მარტის ინსტრუქციის საფუძველზე ა/წ 20 აპრილამდე უზრუნველჰყოს განთესილ მოსწავლეთა აღრიცხვა და მათი სკოლაში დაბრუნება.

2. უზრუნველყოს სკოლებში არსებულ თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და მასალების სრულ წესრიგში მოყვანა და მათი სწავლებაში გამოყენება.

3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კონკრეტული და სისტემატური დახმარების გაწევის საქმეს იმ სკოლებისათვის, რომელთაც გარღვევა აქვთ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში (ქვედა ალისუბნის საშუალო სკოლა, ძევრის არასრული საშუალო სკოლა, ზედაალისუბნის არასრული საშუალო სკოლა).

4. პედკაბინეტებთან ერთად სისტემატურად აწარმოოს საუკეთესო მასწავლებელთა და სკოლების გამოცდილების განზოგადება ადგილებზე გაკვეთილების შემოწმების, კონსულტაციებისა და ღია გაკვეთილების მოწყობის, ლაბორატორიული მუშაობის ნიმუშების ჩვენებისა და ცალკეულ მასწავლებელთათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის გზით.

5. გააძლიეროს საჭირო დახმარება და ხელმძღვანელობა სასკოლო მიწის ნაკვეთის შემორაგვისა და დაგეგმვის, სკოლების სათესლე და სანერგე მასალითა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით მომარაგების, სასკოლო ეზოს გამწვანების საქმეში და ამას-

თანავე უზრუნველჰყოს მიწის ნაკვეთის სასწავლო მიზნით გამოყენება.

6. გადამჭრელი ზომები მიიღოს განათლების განყოფილებასა, სკოლებში, საბავშვო ბაღსა და პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საჭირო სისუფთავის უზრუნველსაყოფად და ყველა ქვემდებარე დაწესებულების ინვენტარისა და სამეურნეო მოწყობილობათა დაცვისა და მოვლის საქმის მოსაგვარებლად.

7. უზრუნველჰყოს რაიონში წ/კ უცოდინარ და მცირემცოდნეთა შემდგომი გამოვლინება, მათი სწავლებაში ჩაბმის მიზნით.

8. მიიღოს გადამჭრელი ზომები იმ წ/კ უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებში ჩასაბმელად, რომლებიც დღემდე არ არიან ჩაბმული სწავლებაში.

9. განსახკომის 1940 წლის 31/XII, №—486-ით დირექტივის საფუძველზე უზრუნველყოს რუსული ენის არმცოდნე წვევამდელთა მთელი კონტიგენტის მეცადინეობაზე სისტემატური დასწრება.

10. სათანადო მეთოდური დახმარება გაუწიოს საბავშვო ბაღს და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ბავშვთა შორის სანიტარული წესებისა და ბავშვთა კვების ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად.

11. 20 აპრილამდე სრულ წესრიგში მოიყვანოს მასწავლებელთა, პოლიტგანმუშაკებისა და განათლების დარგის დანარჩენ მუშაკთა პირადი საქმეები და შრომის წიგნაკები.

12. უზრუნველყოს განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 12/XII დადგენილების რეალიზაცია და ხელი შეუწყოს დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მასწავლებლებს სამუშაოდან მოუწყვეტლივ უმაღლესი განათლების მიღების საქმეში.

13. ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება ფედიაკინელთა მოწოდებასა და ალის ინტელიგენციის გამოხმაურებასთან დაკავშირებით.

14. სრულ წესრიგში მოიყვანოს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ინვენტარი და სამეურნეო მოწყობილობა და უზრუნველყოს სათანადო მოვლა და შენახვა.

15. სათანადოდ გააფორმოს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი ბელადების პორტრეტებით, პლაკატებით, ლოზუნგებით, მწერალთა სურათებით და სხვ.

16. მიიღოს გადამჭრელი ზომები პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა წიგნადი ფონდის განიავებისა, უყაირათოდ შენახვისა და დაკარგვის წინააღმდეგ.

17. უზრუნველყოს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1940 წლის 8/II-სა და საქ. სახკომსაბჭოს 1—აგვისტოს დადგენილებათა ზუსტად გატარება ბინებიდან პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოსახლებისა და შევიწროების აკრძალვის შესახებ.

1. ქვედა-ალისუბნის საშუალო სკოლაზე არასაკმაო ხელმძღვანელობისა, პასპორტიზაციის და მასწავლებელთა ხელფასის ტარიფიკაციის მოუგვარებლობისათვის მიეთითოს ჩხარის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. აბესალომ რევაზის-ძე ლომთაძეს.

2. განსახკომის კადრების სამმართველომ შეისწავლოს ქვედაალისუბნის საშუალო სკოლის კადრები და 1941-42 სასწავლო წლიდან გაითვალისწინოს ამ სკოლის კვალიფიცირებული მუშაკებით უზრუნველყოფა.

3. ქვედაალისუბნის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ ანდრო ქველიაშვილს და ამავე სკოლის ისტორიისა და კონსტიტუციის მასწავლებელს, ვიქტორ ქვათაძეს აღნიშნულ დისციპლინათა სწავლების ცუდად დაყენებისა და თავის მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური, უკანასკნელი გაფრთხილებით.

4. განათლების განყოფილების გამგე ა. რ. ლომთაძეს მოეხსნას შეთავსება—პედაგოგიური კაბინეტის გამგის თანამდებობა; აღდგენილი იქნას პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტის საშტატო ერთეული სექციების ხელმძღვანელთათვის ხელფასის გაუქმებით.

**საფუძველი** საქ. განსახკომის კოლეგიის 1941 წ. 29 მარტის დადგენილება.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**

**გ. კიკნაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 1154

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1941 წ. 5 აპრილი**

## თელავის რაიონის სახ. განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ.

განვიხილე რა თელავის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე ყარაულაშვილი) მუშაობის გამოკვლევის მასალები, აღვნიშნავ:

განათლების განყოფილებას გეგმის მიხედვით 1941 წლის 12 იანვრამდე შემოწმებული აქვს 39 სკოლა და შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი. სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის კარგ ნიმუშს იძლევა აწყურის საშუალო სკოლა (დირექტორი მ. გოჩელაშვილი), ვანთის საშუალო სკოლა (დირექტორი შ. ფრანგიშვილი), თელავის პირველი საშუალო სკოლა (დირექტორი დ. მატარაძე) და სხვ.

გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა მუზეუმებსა, საბავშვო ბაღებსა და პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულ მიღწევებისა თელავის რაიონის განათლების განყოფილების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს:

1. განათლების განყოფილება სისტემატურად არ ამოწმებს თავის სამუშაო გეგმის შესრულებას და არ სახავს სათანადო ღონისძიებებს. რაიგან. განყ. ინსპექტორები სკოლებში ჩატარებულ გამოკვლევის შედეგების შესახებ არ ადგენენ წერილობით მოხსენებებს, სკოლის შემოწმების დროს არ უწევენ კონტროლს სადირექტივო ორგანოთა მითითებების გატარების საქმეს, რის შედეგად ქისტაურის, მატანის, დუისოფლის, იყალთოს და ჯოყოლას არასრულ საშუალო სკოლებში არ არის განხილული განსახკომის დირექტივა სოფლის სკოლების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. სუსტად მიმდინარეობს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება.

2. პედაგოგიურ კაბინეტში მეთოდისტებად მუშაობენ განათლების განყოფილების ინსპექტორები, მაგრამ ისინი პედკაბინეტში სამუშაოდ არ ცხადდებიან. ამის გამო პედაგოგიური კაბინეტი ვერ უწევს მეთოდურ დახმარებას რაიონის სკოლებს.

3.საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებისათვის განგანყოფილებას არ მიუღია გადამჭრელი ზომები. ამჟამად სკოლის გარედ დარჩენილია 380 მოსწავლე.

4. რაიონის მთელ რიგ სასოფლო საბჭოში წერაკითხვის უცოდინარებთან და მცირემცოდნეებთან მეცადინეობა ჯერ არ დაწყებულა, ასე, მაგალ. ყარაჯალაში 420 წ/კ უცოდინარია და არცერთი მათგანი არ არის ლიკსკოლებში ჩაბმული. ამჟამად რაიონში 1510 წერაკითხვის უცოდინარია.

5. თელავის საბავშვო სახლს არ ექცევა სათანადო ყურადღება, რის შედეგად ბავშვთა საწოლ ოთახებში სრული უწესრიგობა და ანტისანიტარული მდგომარეობაა.

6. საშუალო სკოლის 53 დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე გაკვეთილებით ნორმაზე ზევით არიან დატვირთული, ამის გამო ზოგიერთი დირექტორი ნაკლებად ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე და თავს ვერ ართმევს სასკოლო მუშაობას (დუისოფლის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი—ცხოვრებოვი).

7. მთელ რიგ სკოლებში დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების დასწრება გაკვეთილებზე არადამაკმაყოფილებელია: კურდღელაურის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი რ. სონღულაშვილი არ დასწრებია არცერთ გაკვეთილს. თელავის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი ვ. კუზანოვი

კი გაკვეთილებს მხოლოდ 4-ჯერ დაესწრო.

ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლების მიერ გაკვეთილი ტარდება მოუმზადებლად: თელავის მე-2 საშუალო სკოლის მე-9 კლასში (მასწ. ი. გურგენოვი), თელავის მოზრდილთა საშუალო სკოლის მე-10 კლასში (მასწ. კირვალიძე) და სხვ.

8. ზოგიერთ სკოლაში ჩაშლილია მეთოდური მუშაობა: (კურდღელაურის არასრული საშუალო სკოლა, თელავის მე-2 საშუალო სკოლა). პრაქტიკულ ჩვევათა დანერგვის შესახებ ამ სკოლაში მხოლოდ ერთხელ (24 ოქტომბერს) მოუსმენიათ საკითხი და ისიც სხვათა შორის, ხოლო კურდღელაურის არასრული საშუალო სკოლის პედსაბჭომ დადგენილებით მოიწონა საქ. განსახკომის დადგენილება —„სოფლის სკოლების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" და კონკრეტული მუშაობა ამ მიმართულებით ჯერაც არ ჩაუტარებიათ.

9. განსახკომის ბრძანებით,—სასკოლო მუშაობის აგეგმვის შესახებ (№ 1858 1940 წ. 21 მაისი) ზოგიერთ სკოლებს არ უხელმძღვანილია; კურდღელაურის არასრულ საშუალო სკოლაში შედგენილი აქვთ მხოლოდ მეოთხედური გეგმები. თემატიკური გეგმები მათ მიერ სრულიად უარყოფილია.

10. ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია მშობელთა შორის მუშაობა. კლასგარეშე კითხვას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება (კურდღელაურის არასრული და თელავის მე-2 საშუალო სკოლა).

აღნიშნულისა გამო **ვბრძანებ:**

1 განათლების განყოფილების სამუშაო გეგმა შედგეს კონკრეტულ საკითხების გათვალისწინებით და სისტემატურად ხდებოდეს მისი შესრულების შემოწმება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა პრაქტიკულად გატარების საქმეს.

2. ა/წ 25 აპრილამდე დაზუსტდეს თელავის რაიონის სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა, უზრუნველყოფილ იქნას მათი სასკოლო ქსელში ჩაბმა.

3. უზრუნველყოფილ იქნას წერაკითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სალიკვიდაციო სკოლებში მთლიანად ჩაბმა. ამ მიზნით ფართოდ იქნას გამოყენებული კულტარმიელთა ძალები, დაზუსტდეს წერაკითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სიები და მიღწეულ იქნას მათთან მეცადინეობის დაწყება 20 აპრილამდე, შედეგები მოხსენდეს კოლეგიას 10 მაისს.

4. ახალი სასწავლო წლისათვის გადასინჯულ იქნას სკოლის დირექტორებისა, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებელთა დატვირთვის საკითხი; უზრუნველყოფილ იქნას, მათთვის, დატვირთვის დაწესებული ნორმის დაცვა.

5.სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება გაეწიოს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს საცნობო-საკონსულტაციო სალექციო და სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობის უკეთ დაყენებისათვის.

6. პედაგოგიური კაბინეტის მუშაობა წარიმართოს საქართველოს განსახკომის 1939 წ. 27 დეკემბრის №—7566 ბრძანების საფუძველზე იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას რაიონის მასობრივ სკოლებზე მეთოდური მომსახურეობა.

7. ახალგაზრდა მასწავლებელთა მეთოდური დახმარების მიზნით სისტემატურად მოეწყოს კონსულტაციები, თათბირები და ამავე დროს წლიური, თემატიკური და გაკვეთილის გეგმების გამოფენა, მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება, ღია გაკვეთილების სწორი ორგანიზაცია. აღკვეთილ იქნას ღია გაკვეთილების ხუთბალიან ნიშნებზე შეფასების პრაქტიკა.

8. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სწორად აგეგმვას, გაკვეთილების სწორ ორგანიზაციას, მოსწავლეთა პრაქტიკულ ჩვევათა გამომუშავებას, გაკვეთილზე ცდებისა და თვალსაჩინოების გამოყენებას. სისტემატურად ხდებოდეს სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების გაკვეთილებზე დასწრება.

9. სკოლის ნაკვეთზე მუშაობა დაკავშირებულ იქნას სკოლის სასწავლო აღმზრდელობით მიზნებთან და ამოცანებთან. უზრუნ-

ველყოფილ იქნას საქ. განსახკომის დირექტივის „სოფლის სკოლების მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებათა შესახებ“—განხილვა ყველა სკოლის პედსაბჭოზე, პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღება და განხორციელება.

10. სკოლაში დაცული იქნას სრული წესრიგი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სისუფთავეს ეზოში, დერეფანში, საკლასო ოთახებში, კაბინეტებსა და ლაბორატორიებში. მოწესრიგდეს სკოლის არქივი, კანცელარია, მოსწავლეთა პირადი საქმეები და სხვ.

11. თელავის რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების საქმეში სუსტი მუშაობისათვის, წ/კითხვის უცოდინ. და მც. მცოდ. ლიკსკოლებში ჩაუბმელობისა და სტატმასალების თავის დროზე წარმოუდგენლობისათვის, თელავის რაიგანათლების განყოფილების გამგე ამხ. ყარაულაშვილს გამოეცხადოს საყვედური.

12. თელავის საბავშვო სახლში უსუფთაობისა, უწესრიგობისა და ანტისანიტარული მდგომარეობის გამო, საბავშვო სახლის გამგეს ამხ. მილორავას გამოეცხადოს საყვედური და გაფრთხილებულ იქნას,—თუ უახლოეს დროში არ გარდაქმნის მუშაობას, მოხსნილი იქნება თანამდებობიდან.

13. დაევალოს საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების სამმართველოს თელავის საბავშვო სახლში მიავლინოს ამხ. თაბუკაშვილი მუშაობის შესასწავლად და დახმარების აღმოსაჩენად.

14. დაევალოს განსახკომის კადრების სამმართველოს ახალ სასწავლო წლიდან გადასინჯოს კურდღელაურის არასრული საშუალო სკოლის ხელმძღვანელობა სათანადო კადრებით შეცვლის მიზნით.

15. სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა პრაქტიკულად გატარებისათვის ადგილზე დახმარების აღმოსაჩენად, თელავის რაიონზე მიმაგრებულ იქნას ამხ. დ. დუდუჩავა და ა. ჩაჩიბაია.

**საფუძველი:** საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1941 წ. 22 მარტის დადგენილება.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**
**გ. კიკნაძე.**

---

# ბრძანება № 1226

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1941 წ. 16 აპრილი**

## ყვარელის რაიგანათლების განყოფილების მუშაობის შესახებ.

განვიხილე რა ყვარელის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე გ. კევლიშვილი) მუშაობის გამოკვლევის შედეგები, აღვნიშნავ: განათლების განყოფილების მიერ სკოლების გამოკვლევა სწარმოებს სამუშაო გეგმის საფუძველზე. დღემდე განყოფილების მიერ გამოკვლეულია 21 სკოლა და შედეგები განხილულია პედსაბჭოს სხდომაზე. განგანყოფილების ინსპექტორები მუშაობას აწარმოებენ განგანყოფილების საერთო გეგმის საფუძველზე შემუშავებულ კონკრეტულ გეგმის მიხედვით. მოწესრიგებულია მასწავლებელთა პირადი საქმეები, გადასინჯულია თანრიგები და მიღებულია კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმეში არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეს და სხვ. მიუხედავად ამისა განათლების განყოფილების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს:

1. განგანყოფილების გეგმა არ არის კონკრეტული და ამავე დროს არ ხდება გეგმით გათვალისწინებულ საკითხების შესრულების სისტემატური შემოწმება. არ ეწევა სათანადო კონტროლი სადირექტივო ორგანოთა განკარგულებების შესრულებას, რის გამოც საქ. განსახკომის 8 ოქტომბრის ბრძანება „სოფლის სკოლების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“ ყვარელის პირველ

მეორე და სხვა სკოლების პედსაბჭოებზე არ იყო განხილული; არ დაუსახავთ სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი და აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად განგანყოფილებას არავითარი ზომები არ მიუღია.

2. საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებისათვის ჯერ კიდევ არ არის ჩატარებული სათანადო მუშაობა: სიები დაუზუსტებელია, პირველი კლასები არ არის სწორად დაკომპლექტებული; სკოლების პირველ კლასებში მიღებული იყო 180 შვიდწლიანი ბავშვი და შემდეგ, როგორც მცირეწლოვანი, ისინი დათხოვნილი იქნენ სკოლებიდან; ამჟამად რაიონში სკოლის გარედ დარჩენილია 369 მოსწავლე.

3. სკოლებში ჯერ კიდევ არ არის დამყარებული მტკიცე წესრიგი, გეგმიანობა; საბუეს საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელს ამხ. ჯაიანს სასწავლო წლიდან არ ჰქონია არც წლიური, არც თემატიკური და არც გაკვეთილის გეგმები. ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ჯერ კიდევ არ უწევს მასწავლებელს სათანადო ხელმძღვანელობას; იშვიათად ესწრება გაკვეთილზე (ყვარელის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი სექტემბრიდან 17 ნოემბრამდე დაესწრო 8 გაკვეთილს), მიცემული მითითებები არ არის კონკრეტული და სახელმძღვანელო მასწავლებლისათვის (საბუეს საშუალო სკოლა.), გაკვეთილზე მთელ რიგ შემთხვევაში არ ხდება თვალსაჩინოებისა და ცდების გამოყენება; ადგილი აქვს პროგრამულ ჩამორჩენილობას (საბუეს საშუალო სკოლა ქართული ენა და ლიტერატურა).

4. რიგ სკოლებში კლასის სააღმზრდელო გეგმები ზოგადია და კონკრეტულად არ ითვალისწინებს შესასრულებელ საკითხებს (ყვარელის მეორე, საბუეს საშუალო, შილდის საშუალო სკ.).

5. პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე, როგორც წესი, არა აქვთ შემოღებული და არ იხილება საქართველოს განსახკომის ბრძანებები, მითითებები, ცირკულარები. მთელ რიგ სკოლების პედსაბჭოებზე არ არის განხილული და დასახული სათანადო ღონისძიება მოსწავლეებში პრაქტიკულ ჩვევათა გამომუშავებისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება.

აღნიშნულ საკითხებს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საგნობრივი კომისიებისა დ მეთოდგაერთიანებების მუშაობაში.

6. ზოგიერთ სკოლაში წერითი სამუშაო ქართულ ენასა და ლიტერატურაში არ ტარდება დაწესებულ ნორმებისა და სახეების მიხედვით; მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში ჯერ კიდევ ბევრია სტილისტური და ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომები. არ ექცევა სათანადო ყურადღება კალიგრაფიას , სუფთა წერას და წერითი ნამუშევრების შეფასებას (ყვარელის საშუალო სკოლა), მოწაფეთა წერით ნამუშევრებში არ ჩანს მასალის ცოდნა.

მოსწავლეთა საკმაო ნაწილი ვერ იჩენს სათანადო მომზადებას ქართულ ენასა და ლიტერატურაში; გეოგრაფიის გაკვეთილზე არ ხდება რუკების სათანადოდ გამოყენება, მოსწავლეთა ჩანაწერები სავსეა შეცდომებით და სხვ.

7. ზოგ სკოლაში სრულიად მოუვლელი და გამოუყენებელია სასკოლო კაბინეტები (საბუეს საშუალო სკოლა).

8. ცუდად მუშაობს ი. ჭავჭავაძის სახლი—მუზეუმი; მუზეუმს არა აქვს თემატიკური საექსპოზიციო გეგმა, მეტად ღარიბია ექსპონატებით და ფოტოსურათებით. არ არის გამტკიცებული შრომის დისციპლინა, არ ექცევა ყურადღება სამუშაო საათებში მომუშავეთა წასვლისა და დაბრუნების აღრიცხვის საქმეს და სხვა.

9. არ არის შემოწმებული პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა და და არაა დასახული სათანადო ღონისძიებანი. ფედიაკინელთა და სოფ. ალის ინტელიგენციის მოწოდება არ არის დაყვანილი თითოეულ კლუბამდე.

10 ყვარელის საბავშვო ბაღში დაუშვებელი ანტისანიტარული მდგომარეობაა. საბავშვო ბაღის თანამშრომლები სრული დატვირთვით არ მუშაობენ. საკოლმეურნეო საბავშვო ბაღებში მუშაობა ჩაშლილია. მათი

მომარაგების საქმეს კოლმეურნეობები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

11. მთელ რიგ სკოლებისათვის ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი საჭირო მიწის ნაკვეთი და ხელი ეშლება მოსწავლეთა პრაქტიკულ ჩვევათა გამომუშავების საქმეს.

12. რაიონში დღემდე არ არსებობს პედკაბინეტი და ამ მიმართულებით გან. განყოფილების მიერ საკმაო ზომები არ არის მიღებული.

აქედან გამომდინარე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. განათლების განყოფილების გეგმა შესდგეს იმგვარად, რომ მასში კონკრეტულად იყოს წარმოდგენილი მუშაობის ყველა სახეები. გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა პრაქტიკულად გატარების შემოწმება.

2. ა/წ 20 აპრილამდე დაზუსტდეს ყვარელის რაიონის სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა სიები და უზრუნველყოფილ იქნას სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლაში მთლიანად ჩაბმა. შედეგები მოხსენდეს კოლეგიას.

3. დაევალოს განათლების განყოფილებას სისტემატურად შეამოწმოს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა და დასახოს სათანადო ღონისძიებანი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

4. დაევალოს მასვე შეამოწმოს სკოლებში კაბინეტების მოვლა-პატრონობის საქმე და უყაირათობისა და დანაშაულებრივი მოქმედების გამოვლინების შემთხვევაში დამნაშავეს დაადოს სათანადო სასჯელი.

5. 20 აპრილამდე უზრუნველყოფილ იქნას რაიპედკაბინეტისათვის სათანადო ბინის გამონახვა და მუშაობის დაწყება.

6. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ი. ჭავჭავაძის სახლი—მუზეუმის მუშაობის გარდაქმნას. გადაჭრით აღიკვეთოს მუზეუმის თანამშრომელთა მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მიღებულ იქნას სათანადო ზომები ექსპონატებითა და ფოტოსურათებით მუზეუმის გაძლიერებისათვის.

7. სისტემატური კონტროლი გაეწიოს საქ. განსახკომის ბრძანების (№ 1853 1940 წ. 21 მაისი) „სასკოლო მუშაობის აგეგმის შესახებ“ პრაქტიკულად გატარების საქმეს, აღიკვეთოს გაკვეთილების უგეგმოდ ჩატარება. გაკვეთილებზე ფართოდ იქნას გამოყენებული თვალსაჩინოება, ილუსტრაცია და ცდები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კითხვის ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლებას, სკოლაში ერთიანი ორთოგრაფიული რეჟიმის შემოღებასა და გატარებას.

8. პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე სისტემატურად იხილებოდეს საქ. განსახკომის ბრძანებები, ცირკულიარული წერილები და საჭირო შემთხვევაში, დასახული იქნეს პრაქტიკული ღონისძიებები და ხდებოდეს მათი გატარების შემოწმება. საქართველოს განსახკომის 8 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეებში პრაქტიკულ ჩვევათა გამომუშავების საქმეს; ამ მიზნით წესრიგში იქნას მოყვანილი სასწავლო ხელსაწყოები, გამოყოფილი იქნას საცდელი მიწის ნაკვეთი, მოეწყოს ექსკურსიები და სხვ.

9. დაისვას საკითხი ყვარელის რაიონის რაიაღმასკომის წინაშე ყვარელის საბავშვო ბაღისათვის შესაფერისი ბინის გამონახვისა და საკოლმეურნეო საბავშვო ბაღების მომარაგების შესახებ.

10. ყვარელის მეორე საშუალო სკოლის მშენებლობის დაუმთავრებლობის საქმეში დამნაშავე პირთა საქმე გადაეცეს სსსრ პროკურატურას.

11. დაევალოს სასკოლო მშენებლობის სამმართველოს შეისწავლოს შილდის არასრული საშუალო სკოლის მშენებლობის საქმე და წარმოადგინოს ღონისძიება მისი საშუალო სკოლის შენობად გადაკეთების შესახებ.

12. სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა შესრულების საქმეში ადგილზე პრაქტიკული დახმარების გასაწევად ყვარელის რაიონზე მიმაგრებული იქნენ ამხ. დ. დუდუჩავა და ა. ჩაჩიბაია.

**საფუძველი:** საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1941 წ. 29/III დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი
**გ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 1225.

## по Народному Комиссариату Просвещения ГССР 16 апреля 1941 года.

### *О состоянии изучения русского языка в школах города Кутаиси и в кутаисском районе*

Ознакомившись с материалами обследования постановки изучения русского языка в школах г. Кутаиси и его района, отмечаю, что а) в Кутаисской 1, 12, 14 и 25 средних школах, в Обшквитской средней и в Сакулийской неполной средней школе осиление программного материала в основном протекает нормально: во всех названных школах преподаватели владеют языком, работают планово; б) Хорошо поставлено изучение русского языка в Сакулийской неполной средней школе (преподаватели Е. Купарадзе и И. Джинчвелашвили) в IV классе Кутаисской I средней школы (преподаватель И. Рамишвили) в Кутаисской русской средней школе (препод. 8—10 кл. Верулашвили), в результате плановой работы преподавателей и четких требования, которые они представляют к учащимся — программный материал осиливается нормально, последний увязывается с живой разговорной речью, письменные работы проводятся в достаточном количестве. На базе соответствующего словарного запаса учащиеся из'ясняются на русском языке. В школе много отличников и учащихся с хорошей оценкой.

Основным недостатком в работе означенных школ коллегия считает:

а) недопустимое самовольное сокращение программного материала во всех школах гор. Кутаиси (на 80—96 названий), что прошло мимо внимания ГорОНО;

б) в результате плохо налаженной работы по русскому языку за прошлые годы у учащихся Обшквитской средней школы нет достаточного запаса слов (VI, IX кл.), слабо знают пройденный материал как по литературе, так и языку, и вообще в школе программный материал осиливается неудовлетворительно.

Безответственно относится к исправлению письменных работ преподаватель 1 класса Кутаисской V русской средней школы С. Антидзе;

в) не всюду письменные работы в III и IV классах проводятся в достаточном количестве.

1. Отмечаю, что зав. ОНО гор. Кутаиси тов. Копаладзе своевременно не обратил внимания на недопустимое сокращение программы русского языка.

Ошибка эта в феврале 1941 г. исправлена Управлением начальной и средней школы, в результате чего работа преподавателей русского языка в школах г. Кутаиси соответственно налажена, — приказываю:

За сокращение программы русского языка в школах гор. Кутаиси указать инспектору гор. ОНО тов. Шубладзе.

2. Зав. ОНО Кутаисского района тов. Георгадзе путем прикрепления инспектора русского языка оказать помощь Обшквитской средней школе и ликвидировать отставания, имеющиеся в отдельных классах в отношении качества осиления программного материала по русскому языку.

3. Предложить директорам школ г. Кутаиси и Кутаисского района полностью выполнять нормы письменных работ, данных НКП Грузинской ССР.

**Основание:** постановление коллегии Наркомпроса ГССР от 29/III—41 г.

**Нарком Просвещения ГССР Г. КИКНАДЗЕ.**

# ცირკულარული

### აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის საოლქო განათლ. განყოფილებას, რაიონისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს, დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგეებს).

შემოწმებით დადასტურდა, რომ სკოლებში ადგილი აქვს არა სასკოლო ასაკის, — 7 წლიანი ბავშვების ჩარიცხვას დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების პირველ კლასებში.

საქართველოს სსრ განსახკომი განმარტავს, რომ პირველ კლასებში ჩარიცხული უნდა იქნენ მხოლოდ 8-წლიანი ბავშვები და აქედან გამომდინარე წინადადებას იძლევა:

1. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) არ დაუშვან სკოლაში 7-წლიანი ბავშვების ჩარიცხვა;

2. განათლების განყოფილების გამგეებმა პირადად უხელმძღვანელონ პირველ კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეს და მომავალში არ დაუშვან 8 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვების ჩარიცხვა დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების პირველ კლასებში.

ამ წესის დარღვევისათვის დამნაშავეებს დაედებათ ადმინისტრატიული სასჯელი.

1941 წ. აპრილი

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის მოადგილე ბ. კიზირია.**

**დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსი შ. ობოლაძე.**

---

დამტკიცებულია განათლ. სახ. კომისრის მიერ 1941 წ. 3 აპრილს.

# ინსტრუქცია

### საზაფხულო არდადეგების პერიოდში საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან მუშაობის შესახებ.

1. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორები (გამგეები) კლასიდან კლასში გადაყვანისა და სკოლის დამთავრების შედეგების განხილვასთან დაკავშირებით იხილავენ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეთათვის დახმარების გაწევის საკითხს და ადგენენ კონკრეტულ ღონისძიებას.

2. საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან სკოლა სისტემატურ მუშაობას აწარმოებს სასწავლო წლის დასასრულისა და ახალი სასწავლო წლის დაწყების წინა პერიოდში.

3. სასწავლო წლის დასასრულს ამ მიზნით სკოლა იყენებს:

ა) I-III კლასების მასწავლებლებს, 20 მაისიდან — 20 ივნისამდე.

ბ) IV კლასების მასწავლებლებს, 1 — ივნისიდან 20 ივნისამდე.

გ) V-X კლასების მასწავლებლებს, 10 ივნისიდან 20 ივნისამდე.

4. სასწავლო წლის დაწყების წინაპერიოდში საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან მუშაობას ყველა მასწავლებელი აწარმოებს 20-24 აგვისტოს რიცხვებში.

5. სასწავლო წლის დასასრულის პერიოდში საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან მუშაობა შემდეგი წესით ტარდება: მასწავლებლები გარკვეული გეგმით ატარებენ მეცადინეობას მოსწავლეებთან, აძლევენ მათ განმარტებებს მათთვის საძნელო და გაუგებარ საკითხებზე, მოსწავლეებს ეძლევათ დავალებანი წერასა და ზეპირში და თანაც სწარმოებს ამ დავალებათა სისტემატური შემოწმება. სასწავლო

წლის დასასრულის უკანასკნელ დღეებში საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებს მასწავლებლები აძლევენ რჩევა-დარიგებებს, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აწარმოონ მათ ზაფხულის პერიოდში მუშაობა საგამოცდო საგანში.

სასწავლო წლის დაწყების წინა პერიოდში, 20-24 აგვისტოს რიცხვებში, მასწავლებლები აწარმოებენ საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეთა მომზადების წინასწარ შემოწმებას. მოსწავლეებს მიუთითებენ იმ ხარვეზის შესახებ, რაც ცოდნას ახასიათებს და ატარებენ კონსულტაციებს.

6. საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებზე მშობელთა ხელმძღვანელობისა და დახმარების უზრუნველსაყოფად, სკოლა ატარებს შემდეგ მუშაობას:

ა) სასწავლო წლის დასასრულისას იწვევს საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეთა მშობლებს ცალკე კლასების მიხედვით.

ბ) თითოეულ მშობელს აძლევს ახსნა განმარტებას გამოცდამიცემული ბავშვის მუშაობის შესახებ, განუმარტავს მშობელს, რომ გამოცდამიცემული ბავშვი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სათანადო წიგნებით და რვეულებით, განტვირთული უნდა იქნეს ზედმეტი საოჯახო დავალებებიდან და მას სისტემატურად უნდა ეწეოდეს ზედამხედველობა მეცადინეობის დროს.

ეროვნული

7. საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებისადმი დახმარების საქმეში ფართოდ ებმებიან მოსწავლეთა კომიტეტები.

სკოლის დირექციის ხელმძღვანელობით მოსწავლეთა კომიტეტები შლიან სოციალისტურ შეჯიბრებას საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეთა შორის და შესაფერ მონაწილეობას ღებულობენ ამ მოსწავლეებისათვის სამეცადინო პირობების შესაქმნელად.

8. ქობულეთის, კოჯრის, ქვიშხეთის და სხვა პიონერ ბანაკის დირექტორები აწარმოებენ საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეთა აღრიცხვას და მათთვის სპეციალურად განკუთვნილ საათებში აწყობენ მათთან მეცადინეობას და კონსულტაციებს.

9. განათლების განყოფილებანი სისტემატურად ამოწმებენ სკოლების მუშაობას საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან და საჭიროების შემთხვევაში კონკრეტულად ეხმარებიან სკოლებს ამ საქმეში.

**საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი შ. ობოლაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 653

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1941 წლის 14 თებერვალი**

## ბაშკიჩეთის, საგარეჯოს და კასპის სარაიონო და წითელქალაქის სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ.

გავეცანით რა ბაშკიჩეთის, საგარეჯოს და კასპის სარაიონო და წითელქალაქის სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობის გამოკვლევის მასალებს, აღვნიშნავ, რომ ხსენებული ბიბლიოთეკების მუშაობა არადამაკმაყოფილებელია: ყურადღება არ ექცევა წიგნობრივი ფონდის დაცვის საქმეს, სათანადოდ არ სწარმოებს წიგნების ინვენტარიზაცია და ბიბლიოთეკის გეგმიანი დაკომპლექტება. ამით აიხსნება ის, რომ წითელქალაქის სასოფლო ბიბლიოთეკას მისი არსებობის 3 წლის მანძილზე მხოლოდ 30 წიგნი გააჩნია, საგარეჯოს სარაიონო ბიბლიოთეკაში ძველი წიგნობრივი ფონდი სრულებით განადგურებულია: ბაშკიჩეთის სარაიონო ბიბლიოთეკაში შეუძლებელი ხდება დაკარგული წიგნების რაოდენობის გამორკვევა ინვენტარიზაციის არადამაკმაყოფილებლად წარმოების გამო და სხვ.

ბიბლიოთეკებში მასობრივი მუშაობა თითქმის ჩაშლილია. არ სწარმოებს საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა. არ ტარდება მკითხველთა კონფერენციები, არ ეწყობა გამოფენები, შესაფერისი დახმარება არ ეწევა მკითხველებს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლისა და თვითგანვითარების საქმეში, არ მოიპოვება ანბანური და სისტემატური კატალოგები, ჩაშლილია წრეობრივი მუშაობა.

კასპის, საგარეჯოს და ბაშკიჩეთის სარაიონო ბიბლიოთეკები სრულიად უვარგის ბინებში არიან მოთავსებული. ხშირია ბიუჯეტის აუთვისებლობის შემთხვევები. მაგ. წითელქალაქის სასოფლო ბიბლიოთეკას 1940 წელში 4300 მანეთიდან აუთვისებელი დარჩა 2000 მანეთი; ასეთსავე მდგომარეობაშია საგარეჯოსა და ბაშკიჩეთის სარაიონო ბიბლიოთეკები.

საგარეჯოს და ბაშკიჩეთის სარაიონო ბიბლიოთეკების და წითელქალაქის სასოფლო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები იჩენენ დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობას მათზე დაკისრებულ საქმეში, ხოლო განათლების განყოფილებათა გამგეები არ ღებულობდნენ შესაფერის ზომებს ამ მდგომარეობისა გამოსასწორებლად, რისთვისაც ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს კასპის განათლების განყოფილების გამგეს მოხსნას სამუშაოდან წითელქალაქის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე ამხ. შ. ხუციევი და მის ნაცვლად დანიშნოს შესაფერისი მუშაკი.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საგარეჯოს და ბაშკიჩეთის სარაიონო ბიბლიოთეკების გამგეები მოხსნილი არიან სამუშაოდან და მის ადგილზე შერჩეული არიან შესაფერისი კანდიდატები.

3. დაევალოს ბაშკიჩეთის, საგარეჯოსა და კასპის განათლების განყოფილებათა გამგეებს გაარკვიონ ბიბლიოთეკებში წიგნების დაკარგვის და დროზე დაუბრუნებლობის მიმიზეზები და უზრუნველჰყონ დამნაშავეთა მიერ ბიბლიოთეკებისათვის მიყენებულ მატერიალური ზარალის ანაზღაურება და მათი სასამართლოზე გადაცემა.

4. ბაშკიჩეთის, კასპისა და საგარეჯოს განათლების განყ. გამგეებმა დასვან საკითხი რაიონის აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე ბიბლიოთეკების მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ (ბინებით უზრუნველყოფა, ბიუჯეტის ათვისება და სხვა.)

5. განათლების განყოფილებებმა ქვემდე-

ბარე ბიბლიოთეკებისადმი უშუალო დახმარებითა და ხელმძღვანელობით უმოკლეს დროში უზრუნველჰყონ:

ა) წიგნობრივი ფონდის ზუსტი აღრიცხვა ბიბლიოთეკებში.

ბ) ბიბლიოთეკების გაფორმება ბელადების, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა პორტრეტებით, პლაკატებით, რუკებით, ლოზუნგებით.

გ) ბიბლიოთეკებში მიმდინარე და სხვა გამოფენების მოწყობა სათანადო ლიტერატურის სარეკომენდაციო სიებით.

დ) საცნობო ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზება ბიბლიოთეკებში;

ე) ანბანური და სისტემატური კატალოგების დამუშავება უახლოეს დროში;

ვ) მკითხველთა მომსახურეობის, განსაკუთრებით საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთათვის დახმარების გაძლიერება;

ზ) მკითხველთა საანგარიშო და თემატიკური კონფერენციების ჩატარება;

თ) ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდით დროულად დაკომპლექტება რაიონის პროფილის მიხედვით;

ი) ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტისა და მოძრადების ორგანიზაცია;

კ) მკითხველთა მიერ ბიბლიოთეკებიდან წაღებული წიგნების დროზე დაბრუნება.

6. პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველომ ა/წ 15 მაისამდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება და შედეგი მომახსენოს.

7. ვაფრთხილებ საგარეჯოს, ბაშკიჩეთისა და კასპის განათლების განყოფილებათა გამგეებს, რომ უკეთუ ისინი უმოკლეს ვადაში არ მიიღებენ შესაფერის ზომებს იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ აღნიშნული რაიონების ბიბლიოთეკათა მდგომარეობისა და მუშაობის საფუძვლიანი გაუმჯობესება, მათ მიმართ მიღებული იქნება ორგანიზაციული ზომები.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**
**გ. კიკნაძე**

---

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 21

## საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატისადმი

**1941 წლის „4“ იანვარს**

## საქალაქო და სარაიონო ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ.

1. დამტკიცდეს რესპუბლიკის სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამგეების თათბირის მიერ მიღებული ღონისძიებანი.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილებას, სახალხო განათლების სარაიონო და საოლქო განყოფილებათა გამგეებს:

ა) უმოკლეს ვადაში განიხილონ საბიბლიოთეკო დაწესებულებათა მუშაკების რაიონულ თათბირებზე ზემოაღნიშნული მითითებანი და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი საბიბლიოთეკო დაწესებულებათა მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ბ) მიიღონ გადამჭრელი ზომები ბიბლიოთეკების ბინებიდან გამოსახლების ან შევიწროების წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ გაასაჩივრონ საბიბლიოთეკო დაწესებულებათა შევიწროების ყველა ფაქტი, თანახმად საქ სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებისა.

გ) უზრუნველჰყონ საბიბლიოთეკო სამუშაოზე შესაფერისი მუშაკების შერჩევა, არ დაუშვან ბიბლიოთეკის მუშაკთა თვითნებურად დანიშვნა და მოხსნა, აგრეთვე ბიბლიოთეკური განათლების მქონე პირების სხვა სამუშაოზე გამოყენება და ბიბლიოთეკების გამგეთა და ბიბლიოთეკართა თანამდებობის შეთავსება.

დ) მიიღონ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ ბიბლიოთეკებს დროულად და უკლებლად მიეცეს მათთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები, აგრეთვე დააწესონ კონტროლი ამ სახსრების სწორად გამოყენების საქმეზე.

ე) ბიბლიოთეკების გეგმიანი დაკომპლექტების მიზნით უზრუნველჰყონ სახელგამის ბიბკოლექტორთან ხელშეკრულებების დროულად გაფორმება და დაკომპლექტებისათვის საჭირო თანხების დროულად გაცემა, აგრეთვე მკითხველთა უკეთესი მომსახურებისათვის შემოიღონ ბიბლიოთეკებში ბიბლიოთეკათშორისო აბონემენტი.

ვ) წიგნობრივი ფონდების განიავებისა, უყაირათოდ შენახვისა, წიგნების მითვისების, გაკარგვისა, გაფუჭებისა და მკითხველთაგან წიგნების დაუბრუნებლობისათვის დაუყოვნებლივ მიიღონ შესაფერისი ზომები, თანახმად საქ. სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებისა და ინსტრუქციისა, დამნაშავე პირთა (როგორც ბიბლიოთეკის მუშაკთა, ისე მკითხველთა) წინააღმდეგ (პასუხისგებაში მიეცემა სასამართლოს წესით, მატერიალური ზარალის ანაზღაურება, პრესაში გამოქვეყნება და სხვ.).

ზ) დაავალონ ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს აწარმოონ მკითხველთა შორის სისტემატური ახსნა-განმარტებითი მუშაობა წიგნით სარგებლობის წესისა და წიგნისადმი ფრთხილი მოპყრობის შესახებ.

თ) ბიბლიოთეკებისათვის დასახმარებლად უზრუნველჰყონ ბიბლიოთეკების ირგვლივ ფართო აქტივის შექმნა, რომელშიაც ჩაბმული იქნებიან კომკავშირელები, სოფლის ინტელიგენცია.

ი) გააძლიერონ ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკებზე, საკლუბო დაწესებულებებთან არსებულ და სარეწაო და ინვალიდთა კოოპერატივებთან არსებულ ბიბლიოთეკებზე; დააწესონ სისტემატური კონტროლი და გაუწიონ მეთოდური დახმარება სხვა უწყებათა და პროფკავშირულ ბიბლიოთეკებს.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილებას, სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებებს უახლოეს დროში ჩამოაყალიბონ სარაიონო ბიბლიოთეკებთან მეთოდბაზები.

საგეგმო-საფინანსო სამმართველომ 1941 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს აღნიშნული მეთოდბაზების დაფინანსება.

3. დაევალოს სახელგამის ბიბკოლექტორს უზრუნველჰყოს ბიბლიოთეკების შეუფერხებელი მომარაგება რესპუბლიკაში გამოცემული ლიტერატურით, აგრეთვე ორგანიზაცია უყოს მოკავშირე რესპუბლიკებიდან ლიტერატურის შემოზიდვას და ამ ლიტერატურით ბიბლიოთეკების მომარაგებას.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილებას, სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამგეებს ამ ბრძანებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გატარების შესახებ ცნობები წარმოადგინონ განსახკომის პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოში ა. წ. 1 მაისამდე.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის
მოადგილე მ. ბურჭულაძე.

ვამტკიცებ,
საქ. სსრ განსახკომის მოადგილე
მ. ბურჭულაძე
1941 წ. 15/III

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დებულება
## ქალაქ თბილისის მუზეუმისა

### I. საერთო დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მუზეუმი არის სამეცნიერო-კვლევითი და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ნივთების, დოკუმენტების, ძეგლებისა და მხატვრული ნიმუშების შეგროვების, მეცნიერულად დამუშავების და ჩვენების მეშვეობით ასახავს ქალაქ თბილისის ბუნებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიულ პროცესს.

2. ქალაქ თბილისის მუზეუმი შედის საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში და უშუალოდ ექვემდებარება მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილებას, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც აწარმოებს თავის მუშაობას.

### II. მუზეუმის მიზნები და ამოცანები

3. ქალაქ თბილისის მუზეუმის ამოცანებს შეადგენს:

ა) ქალაქ თბილისის ბუნების, მისი ისტორიული წარსულისა და ეთნოგრაფიის, მეურნეობის, კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების და სოციალისტური მშენებლობის შესწავლა, ასახვა და ჩვენება.

ბ) დაგროვილ, დამუშავებულ და შესაფერისად გაფორმებულ მასალათა გამოფენების მეშვეობით მშრომელთა ფართო მასებისათვის ქალაქ თბილისის შესახებ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების გაცნობა;

გ) ფართო პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის მეოხებით მშრომელთა მასებისათვის ქალაქ თბილისის ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიული პროცესის და სოციალისტური მშენებლობის გაცნობა;

დ) სახელმწიფო, პარტიულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, სკოლებისა, მეცნიერი მუშაკებისა, პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებისათვის დახმარების გაწევა ქალაქ თბილისის ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების, ისტორიის, ეთნოგრაფიის, მეურნეობისა და კულტურის, სოციალისტური მშენებლობის საკითხების შესწავლა-დამუშავებაში.

4. თავისი ამოცანების განსახორციელებლად ქალაქ თბილისის მუზეუმი:

ა) სისტემატურად აგროვებს, ინახავს და ამუშავებს ქალაქ თბილისის ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიული პროცესის და სოციალისტური მშენებლობის ამსახველ ნივთებს, დოკუმენტებს, ძეგლებს, სამეცნიერო კოლექციებს, მხატვრულ ნიმუშებსა და სხვა მასალებს, რომლებსაც იძენს სახელმწიფო დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და ცალკეული პირებისაგან, აგრეთვე სხვა მუზეუმებთან მასალის გაცვლის მეშვეობით;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და სამუზეუმო მასალის შეგროვების მიზნით აწყობს ექსპედიციებს და ისტორიულ ძეგლების გამოკვლევას, აგრეთვე მონაწილეობას იღებს სხვა მუზეუმებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ექსპედიციებსა და გამოკვლევებში.

გ) ქალაქ თბილისისა და მისი მიდამოების ფარგლებში აწარმოებს ბუნების, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების, კულტურის, ხელოვნებისა და რევოლუციური ბრძოლის ძეგლების აღრიცხვას, რეგისტრაციას, დაცვასა და შესწავლას;

დ) აწყობს ქალაქ თბილისის ბუნების, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიული პროცესის, ეთნოგრაფიის, ყოფაცხოვრების, კულტურისა და ხელოვნების, რევოლუციური ბრძოლის ისტორიის და სოციალისტური მშენებლობის ამსახველი ნივ-

თების, დოკუმენტებისა და სხვა მასალის თემატიკურ ექსპოზიციებს და სპეციალურ და მიზნობრივ გამოფენებს (მუდმივსა და დროებითს).

ე) მომსახურეობას უწევს სახელმწიფო დაწესებულებებს, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებს, სკოლებს, მეცნიერ მუშაკებს, პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებს, როგორც მუზეუმში მოწყობილ გამოფენებითა და ექსპონატებით, ისე თავისი ცალკეული მასალების ფოტოსურათებისა და ასლების გადაღებით და აგრეთვე სპეციალური მოხსენებების, ლექციებისა და რეფერატების მოწყობით და მუზეუმის ნაშრომებით;

3. მეცნიერული თანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარებისა და კოლექციების გაცვლის მიზნით ამყარებს ურთიერთობას როგორც სხვა მუზეუმებთან, ისე სათანადო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებთან და სხვა ორგანიზაციებთან, რომლებსაც აწვდის ინფორმაციას თავისი გეგმების შესახებ, უგზავნის თავის ნაშრომებს და მათგან იღებს მუზეუმებისათვის საინტერესო მათ ნაშრომებსა და მასალებს;

ზ) მუზეუმის ექსპონატების, გამოფენების და აგრეთვე ქალაქ თბილისის ისტორიული ადგილების, ძეგლების და სხვა ობიექტების დასათვალიერებლად ორგანიზებული ექსკურსიების ჩატარების მიზნით ამყარებს კავშირსა და ურთიერთობას სახელმწიფო დაწესებულებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სკოლებთან და პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მომსახურეობას უწევს როგორც ექსკურსიებს, ისე ცალკეულ მომსვლელებს;

თ) თავისი მასალებით, ლექციებისა და რეფერატების მოწყობით და მეთოდური მითითებებით ეხმარება სკოლებს გეოგრაფიისა და ისტორიის სწავლებაში (თვალსაჩინოების გაძლიერების საქმეში), ხოლო პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს — ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, საბუნებისმეტყველო და სხვა თემებზე ლექციების, მოხსენებებისა და გამოფენების მოწყობაში.

ი) აწარმოებს მეცნიერულ სამეცნიერო-საკონსულტაციო მუშაობას ქალაქ თბილისის ბუნების, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების, ისტორიის, ეთნოგრაფიის, კულტურის, ხელოვნებისა და სოციალისტური მშენებლობის საკითხებზე;

კ) თავისი პროფილისა და მუშაობის თემატიკის შესაბამისად დაამუშავებს და ამზადებს გამოსაცემად მეცნიერულ შრომებს, კატალოგებს, მეგზურებსა და ცნობარებს;

ლ) საჭიროების მიხედვით აწყობს თავის ფილიალებს ქალაქ თბილისის ფარგლებში.

### III. მუზეუმის სტრუქტურა

5. ქალაქ თბილისის მუზეუმში არსებობს შემდეგი ძირითადი განყოფილებანი:

ა) საბუნებისმეტყველო განყოფილება;

ბ) ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილება;

გ) სოციალისტური მშენებლობის განყოფილება;

დ) ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილება;

6. ქალაქ თბილისის მუზეუმს ექვემდებარება ძველი თბილისის ნაკრძალი (ფეთხაინის უბანი).

7. გარდა ძირითადი განყოფილებებისა, ქალაქ თბილისის მუზეუმი, საჭიროების მიხედვით, აწყობს არქეოლოგიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ნუმიზმატიკის, ლიტერატურის, ხელოვნების, ბოტანიკის, ზოოლოგიის და სხვა ქვეგანყოფილებებს (კაბინეტებს).

8. ქალაქ თბილისის მუზეუმის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატი, რომლის გარეშე არ შეიძლება მუზეუმის დამტკიცებული სტრუქტურის შეცვლა ან ქვეგანყოფილებების (კაბინეტების) დაარსება.

9. თავისი ამოცანების განხორციელების მიზნით მუზეუმი ქმნის ადგილებზე (სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, საწარმოებებში, სკოლებში და სხვ.)

ქალაქმცოდნეობისა და მხარეთმცოდნეობის მოყვარულთა აქტივს და ამყარებს მათთან მჭიდრო კავშირს, როგორც მუზეუმის თანამშრომელ-კორესპონდენტებთან.

### VI. მუზეუმის მმართველობა

10. ქალაქ თბილისის მუზეუმს სათავეში უდგას დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია მუზეუმის მთელი სამეცნიერო-კვლევითი პოლიტსაგანმანათლებლო, საფინანსო და ადმინისტრატიულ-სამეურნეო საქმიანობისათვის.

11. ქალაქ თბილისის მუზეუმის დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების წარდგენით.

მუზეუმის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს ისეთი პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ან საერთო უმაღლესი განათლება.

12. ქალაქ თბილისის მუზეუმის დირექტორი ასრულებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატისა და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების დირექტივებსა და განკარგულებებს.

13. მუზეუმის დირექტორის მოვალეობას შეადგენს:

ა) მუზეუმის მთელი სამეცნიერო-კვლევითი, პოლიტიკურ-საგანმანათლებლო, ფინანსიური და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობაზე უშუალო ხელმძღვანელობა;

ბ) საჭირო ღონისძიებათა დასახვა და გატარება მუზეუმის ამოცანების განსახორციელებლად და მისი სამუშაო გეგმების შესასრულებლად, აგრეთვე მუზეუმის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

გ) მუზეუმის წარმომადგენლობა სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

14. ქალაქ თბილისის მუზეუმის განყოფილებათა გამგეებს, სწავლულ მდივანს და მეცნიერ მუშაკებს ნიშნავს და ათავისუფლებს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება მუზეუმის დირექტორის წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. მუზეუმის დანარჩენი ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ტექნიკური მუშაკების მიღებას, დანიშვნასა და დათხოვნას აწარმოებს მუზეუმის დირექტორი.

16. ქალაქ თბილისის მუზეუმის განყოფილების გამგე არის მთელი სამეცნიერო-კვლევითი და საექსპოზიციო მუშაობის ხელმძღვანელი თავისი განყოფილების სახით.

განყოფილების გამგე პასუხისმგებელია განყოფილების ქონების დაცვისათვის, მისი სამეცნიერო კოლექციებისა და სხვა სამუზეუმო მასალების რეგისტრაციისა, მეცნიერულად დამუშავებისა და გამოსაყენებლად განლაგებისათვის.

### V. მუზეუმის სამეცნიერო საბჭო

17. მუზეუმის მთელი სამეცნიერო-კვლევითი და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის კოორდინაციისა და მუზეუმის მუშაობის ძირითადი საკითხების განხილვის მიზნით მუზეუმის დირექტორთან სათათბირო ორგანოს სახით არსდება სამეცნიერო საბჭო.

18. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიან: მუზეუმის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე), მუზეუმის სწავლული მდივანი, მუზეუმის განყოფილებათა გამგეები და უფროსი მეცნიერი მუშაკები, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების, მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და პერსონალურად მოწვეული ცალკეული სპეციალისტები.

სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება.

19. სამეცნიერო საბჭო იკრიბება არანაკლებ ერთხელ თვეში და განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) მუზეუმის მიერ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების საკითხს;

ბ) მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი და პოლიტსაგანმანათლებლო საქმიანობის საერთო წარმართვის საკითხებს;

გ) მუზეუმის მუშაობის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე საკითხებს და ამ ამოცანების შესრულების ღონისძიებებს;

დ) მუზეუმის მუშაობის წლიურსა და კვარტალურ გეგმებსა და ანგარიშებს;

ე) მუზეუმის განყოფილებათა და დამხმარე დაწესებულებათა ორგანიზაციისა და რეორგანიზაციის საკითხებს;

ვ) მუზეუმის ძირითადი გამოფენებისა და ექსპოზიციის პროექტებსა და თემატიკას;

ზ)მუზეუმის მუშაკთა მომზადება-გადამზადების და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებს.

სამეცნიერო საბჭოს დადგენილებებს ამტკიცებს მუზეუმის დირექტორი და აფორმებს ბრძანების სახით;

20. გარდა მუდმივი სამეცნიერო საბჭოსა, მუზეუმს შეუძლია მოაწყოს კომისიები ცალკეული მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული საკითხების დასამუშავებლად, ამ კომისიებში შესაფერისი სპეციალისტების მოწვევით.

## VI. მუზეუმის მატერიალურ-უფლებრივი მდგომარეობა.

21. ქალაქ თბილისის მუზეუმი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და აქვს დამტკიცებული ნიმუშის ბეჭედი.

22. მუზეუმის მთელი მოძრავი და უძრავი ქონება შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას და მისი განსხვისება არ შეიძლება მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური დადგენილების გარეშე.

23. ქალაქ თბილისის მუზეუმის შტატს ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება.

24. ქალაქ თბილისის მუზეუმს აქვს რევისი შემოსავალ-გასავლის წლიური ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება.

25. ქალაქ თბილისის მუზეუმის სახსრები შესდგება:

ა) მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებისაგან;

ბ) სპეციალური სახსრებისაგან (შემოსავალი გამოფენებიდან და სხვ.).

26. ქალაქ თბილისის მუზეუმს აქვს საბიუჯეტო და მიმდინარე ანგარიში კომუნალურ ბანკში.

27. კრედიტების განმკარგულებელი დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში არის მუზეუმის დირექტორი.

28. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით მუზეუმს შეუძლია მოაწყოს დამხმარე დაწესებულებები: ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, სარესტავრაციო და სამულაჟო სახელოსნო, ფოტოლაბორატორია და სხვ.

უკეთუ შეუძლებელია მუზეუმთან ამა თუ იმ დამხმარე დაწესებულების მოწყობა, მუზეუმს შეუძლია გადასცეს ხელშეკრულებით სათანადო სამუშაოები შესასრულებლად სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

29. თავის სამუშაო გეგმებს, ანგარიშებს და აგრეთვე სტატისტიკურ და სხვა ცნობებს მუზეუმი წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს სახალხო განათლების განყოფილებას.

30. ქალაქ თბილისის მუზეუმის ლიკვიდაცია შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

პ/მგ. რედაქტორი გ. კიზირია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წ. 30/V ფორმატი 8×12
ქაღალდის ზომა 72×105 ფორმათა რაოდენობა 1½. სასტამბო ნიშანთა რაოდენობა ფორმაში 80.000.
ტირაჟი 3000, შეკვეთა № 1437. უე20182
სტამბა გამ-ბა „ზარია ვოსტოკასი", რუსთაველის პრ., 36.
Тип. „Заря Востока". Тбилиси, Руставели, 36. Заказ № 1437. Тираж 3000